

რას ნიშნავს

„საგამოძიებო მოქმედება“?

საგამოძიებო მოქმედება არის მოქმედება, რომელიც ხორციელდება მტკიცებულებების შეკრების, დამაგრების, შემონმებისა და შეფასების მიზნით. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დაუშვებელია იძულების, მოტყუების, შანტაჟის ან სხვა უკანონო მეთოდების გამოყენება, ასევე არ შეიძლება, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხე შეექმნათ მონაწილე პირებს. საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეებს უნდა განემარტოთ მათი უფლებები და მოვალეობები, ასევე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესები.

რა პროცესია?

- რა პროცესუალური მოქმედებები ხორციელდება გამოძიებისას, რათა ის კანონიერად ჩაითვალოს?**

საგამოძიებო მოქმედება

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აუცილებელია ოქმის შედგენა, რომელშიც აღინიშნება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი, დრო და თარიღი, ჩატარების პირობები, მოქმედების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და გვარი, მონაწილეთა გვარ-სახელები, საჭიროების შემთხვევაში, მათი მისამართებიც. ოქმში ჩამოყალიბებული უნდა იყოს გამოძიებლის მოქმედების თანმიმდევრობა და გამოვლენილი მტკიცებულებები. მონაწილე პირებს შეუძლიათ განცხადებების გაკეთება, რაც ასევე აისახება ოქმში. საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რის თაობაზეც აუცილებლად უნდა ეცნობოს მონაწილე პირებს და შემდეგ აღინიშნოს ოქმში. შედგენილი ოქმი გასაცნობად წარედგინება მონაწილეებს, რომელთაც განემარტებათ, რომ უფლება აქვთ გამოთქვან შენიშვნები, რომლებიც ოქმში აისახება და დადასტურდება მათი ხელმოწერით.

იმ შემთხვევაში, თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან სხვა პირი უარს განაცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო აღნიშვნა. თუ ხელმოწერაზე უარის მიზეზი არის ფიზიკური ნაკლი ან ჯანმრთელობის მდგომარეობა, მაშინ გამოძიებელი ინვეეს გარეშე პირს, რომელიც დასაკითხი პირის თანხმობით ამოწმებს და ხელმოწერით ადასტურებს მისი ჩვენების ჩანაწერის სისწორეს.

ლაკითხვა

თავისუფლებაში მყოფი ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის, მოწმის და დაზარალებულის დასაკითხად გამოძახება ხდება უწყების ან კავშირგაბმულობის რომელიმე საშუალებით. უწყებაში ამომწურავად უნდა იყოს აღნიშნული გამოძახების დრო და ადგილი, მიზეზი, ასევე გამოუცხადებლობის შედეგები. დაკითხვის წინ მომკვლევი ან გამოძიებელი უნდა დარწმუნდეს დასაკითხი პირის ვინაობაში. თუ დასაკითხმა არ იცის სამართალწარმოების ენა, მაშინ ხდება თარჯიმნის გამოძახება და დაკითხვა გადაიდება მის მოსვლამდე. დაკითხვის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს **8 საათს ერთი დღის განმავლობაში**. პირის რამდენჯერმე დაკითხვა დღის განმავლობაში შესაძლებელია **ერთსაათიანი ინტერვალებით**, თუმცა თითოეული დაკითხვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს **4 საათს**. დაკითხვისას დგება ოქმი, შესაძლებელია ჩამწერი ტექნიკური საშუალებების გამოყენებაც. დაუშვებელია ხმის ჩანერა ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან დამცველის მიერ უარის გამოთქმის შემთხვევაში. ოქმი წარედგინება დასაკითხს, რომლის მიერ გამოთქმული მოთხოვნა შესწორებისა და დამატების შეტანის თაობაზე აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს. ჩვენების ჩანაწერის სისწორე დასტურდება ხელმოწერით ოქმის ყოველ გვერდზე.

ეჭვმიტანილის დაკითხვა, მისი დაკავების შემთხვევაში, ტარდება პოლიციის დანესებულებაში ან მოკვლევის ორგანოში ეჭვმიტანილის მიყვანიდან **24 საათის** განმავლობაში. ეჭვმიტანილი დაუყოვნებლივ უნდა იქნას უზრუნველყოფილი დამცველით, ხოლო თუ ეს არ ხერხდება, მას განემარტება, რომ დამცველის გამოცხადებამდე მას უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება.

ბრალდების წაყენების და დამცველთან კონსულტაციის შემდეგ ბრალდებული დაუყოვნებლივ დაიკითხება. ბრალდებულთა დაკითხვა ხორციელდება სათითაოდ, სხვა ბრალდებულთაგან განცალკევებით. დამცველს უფლება აქვს დაესწროს დაკითხვას. ბრალდებულს დაკითხვის დაწყებამდე განემარტება, რომ მას უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. გამოძიებელი ვალდებულია, დაკითხვის დაწყებისთანავე ჰკითხოს ბრალდებულს, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში. დუმილი ბრალდებულის მხრიდან ნიშნავს, რომ ის თავს დამნაშავედ არ ცნობს. **18 წლამდე** ასაკის ბრალდებულის დაკითხვაში მონაწილეობს პედაგოგი ან კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე, მზრუნველი, მშობელი,

შვილად ამყვანი,

შვილად ამყვანი, პაპა, ბებია, და, ძმა). ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ყოველი დაკითხვისას დგება ოქმი, რომელშიც პირველ პირში და, შეძლებისდაგვარად, სიტყვასიტყვით გადმოიცემა ჩვენება და პასუხები დასმულ შეკითხვებზე. გამოძიებელი დაკითხვის დამთავრებისთანავე აცნობს ოქმს მონაწილე პირებს, რომლებიც ხელს აწერენ ოქმის ყველა გვერდზე. დამატებებისა და შესწორებების მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდებულს შეუძლია მოითხოვოს დაუპირისპირდეს იმ პირს, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში.

ამოლენა და ჩხრაქა

ამოლებისა და ჩხრეკის ჩატარების მიზანია დანაშაულის იარაღის, ასევე საგნების ამოღება საქმის გარემოებათა გასარკვევად. თუ მომკვლევს, გამოძიებელს ან პროკურორს გააჩნია საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ კონკრეტულ პირთან ან გარკვეულ ადგილას ინახება საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი ან დოკუმენტი და მისი მიღება ნებაყოფლობით არ ხერხდება, მაშინ მათ, განსჯადობის წესების დაცვით, **შუამდგომლობით უნდა მიმართონ სასამართლოს**. სასამართლო **24 საათში** განიხილავს შუამდგომლობას და თავისი ბრძანებით ნებართვას გასცემს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, ანდა გამოაქვს დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლო საქმის მასალებიდან გამომდინარე, საკუთარი შეხედულებით წყვეტს, შუამდგომლობის განხილვისას გამოიძახოს თუ არა ის პირები, რომელთა ჩვენებებმაც შესაძლოა დაასაბუთონ ან უარყონ შუამდგომლობა. სასამართლოს ბრძანება ან დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

შესაძლებელია თუ არა ამოლების ან ჩხრეკის ჩატარება მოსამართლის ბრძანების გარეშე?

ამოლება ან ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- არსებობს დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების მოსპობისა და დაკარგვის რეალური საშიშროება;
- პირს დანაშაულის ფაქტზე წაასწრებენ;
- საქმისათვის საჭირო საგნები და დოკუმენტები აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, შემოწმება);
- შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო.

ამ შემთხვევაში, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალები წარედგინება პროკურორს, რომელიც **24 საათის განმავლობაში** შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დაკანონების თაობაზე.

ამოლებას ან ჩხრეკას უნდა ესწრებოდეს სულ მცირე **ორი დამსწრე** მაინც. თუ გასაჩხრეკ პირს აქვს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ დამსწრე გაახმაურებს ჩხრეკის ფაქტს ან მონაცემებს გასაჩხრეკის პირადი ცხოვრების შესახებ, მაშინ მას უფლება აქვს **მოითხოვოს დამსწრის აცილება**. ამ პროცესს აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ის პირი ან იმ ოჯახის **თუნდაც ერთი არასრულწლოვანი წევრი**, ვისთანაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება, ხოლო თუ ეს არ ხერხდება, მაშინ – სახლის პატრონი, ანდა ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი. ამოლების ან ჩხრეკის დაწყებისას სასამართლოს ბრძანებას უნდა გაეცნოს და ხელწერილით დაადასტუროს იმ პირმა, ვისთანაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება. წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში, ბინაში ან მვლობელობაში შესვლა ხდება იძულებით. ნებისმიერი მოპოვებული საგანი და დოკუმენტი წარედგინება დამსწრებს და იქ მყოფ სხვა პირებს. ამოლებისა და ჩხრეკის თაობაზე დგება ოქმი, რომელშიც დაწვრილებით აღინერება ყოველი ჩატარებული მოქმედება. მას ხელს აწერენ მონაწილე პირები, რის შემდეგაც ოქმის ასლი ბარდება პირს, ვისთანაც ჩატარდა ამოლება ან ჩხრეკა. თუ ამოლებისა და ჩხრეკის შედეგად ვერ მოხერხდა საქმისათვის მნიშვნელოვანი საგნის ან დოკუმენტის მოპოვება, პირს, ვისთანაც ჩატარდა მოქმედება, უნდა მოუხადონ ბოდიში, მოთხოვნის შემთხვევაში – წერილობით. საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის აღდგენა, ხოლო ზიანის არსებობის შემთხვევაში – მისი ანაზღაურება. **ამოლებისა და ჩხრეკის დროს კანონით დადგენილი წესის დარღვევა მოპოვებულ საგნებს და დოკუმენტებს უკარგავს იურიდიულ ძალას და არ შეიძლება მათი გამოყენება პირის საწინააღმდეგოდ**.

● ვრცელდება თუ არა იგივე წესები პირადი ჩხრეკის ან ამოღების შემთხვევაში?

პირადი ჩხრეკა და ამოღება ანალოგიური წესებით ტარდება. მოსამართლის ბრძანების გარეშე პირადი ჩხრეკა ან ამოღება დასაშვებია, თუ ეჭვმიტანილის შეპყრობისას არსებობს საკმარისი ვარაუდი, რომ ეჭვმიტანილს თან აქვს იარაღი ან ცდილობს თავიდან მოიშოროს დანაშაულში მისი მამხილებელი მტკიცებულება.

ეჭვმიტანილის დაკავების თაობაზე პოლიციაში ან მოკვლევის ორგანოში დგება დაკავების ოქმი. პირადი ჩხრეკა და ამოღება, რომლის დროსაც აუცილებელია გაშიშვლება, უნდა ჩატარდეს იმავე სქესის თანამდებობის პირის ან სპეციალისტის მიერ დამსწრეთა მონაწილეობით. ასეთი მოქმედება ტარდება მაშინ, როდესაც ბრალდებულის დაკავებისას არსებობს ვარაუდი, რომ მას თან აქვს იარაღი ან საგანი, რომლის შენახვაც კანონით იკრძალება, ასევე საგანი ან დოკუმენტი, რომელსაც საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს, ან თუ ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების დროს გაჩნდება საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იქ მყოფი პირი მალავს ამოსაღებ საგანს ან დოკუმენტს.

ექსპერტიზა

ექსპერტიზა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად საჭიროა სპეციალური ცოდნა.


ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა შემდეგი გარემოებების/ფაქტების დასადგენად:

- სიკვდილის მიზეზი, სხეულის დაზიანების ხასიათი და სიმძიმის ხარისხი;
- იყო თუ არა ორსულობა და მისი ხელოვნურად შეწყვეტის მიზეზი;
- ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, მონმის ასაკი, როცა ის საეჭვოა, ან ასაკის შესახებ დოკუმენტი არ არსებობს;
- ეჭვმიტანილის და ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა, როდესაც ეჭვს შეიტანენ მათ შერაცხადობაში ან იმაში, თუ რამდენად შესწევთ უნარი საქმის წარმოების მომენტისათვის ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებებს და უხელმძღვანელონ მათ;
- პირის იდენტიფიკაცია ხმის მიხედვით;
- დაზარალებულის ან მონმის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სწორად აღქმის, დამახსოვრების და აღდგენის უნარი;
- ფულადი ნიშნებისა და სხვა ფასიანი ქალაქების გაყალბება;
- აფეთქების, ხანძრის, კატასტროფისა და სხვა საგანგებო შემთხვევის გამომწვევი ტექნიკური მიზეზები.

ამას გარდა, ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდანაც. თუ მხარე ჩათვლის, რომ მისი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოებების დადგენის მიზნით საჭიროა ალტერნატიული ექსპერტიზა, მან თავად უნდა მიმართოს საექსპერტო დანესებულებას კითხვებით და თავადვე აანაზღაუროს ექსპერტიზის ხარჯები. აღნიშნულმა მხარემ ექსპერტის წინაშე დასმული საკითხი დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თანამდებობის პირს, ვის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე. მას ასევე შეუძლია მოითხოვოს, რომ ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა სავალდებულო წესით დაერთოს საქმეს და შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთად. ექსპერტიზის დასკვნა სავალდებულო არ არის მისი დამნიშნელი პირისათვის, მაგრამ თუ იგი არ ეთანხმება ამ დასკვნას, ეს მოტივირებული უნდა იყოს. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დაზარალებულს ან მათ წარმომადგენელს უფლება აქვთ აცილება მისცენ ექსპერტს, მოითხოვონ ექსპერტის დანიშვნა მათ მიერ მითითებულ პირთაგან, დაუსვან ექსპერტს დამატებითი კითხვები, მისცენ და მოითხოვონ ახსნა-განმარტებები შედეგების თაობაზე, გაეცნონ ექსპერტის დასკვნას და მისი მიღებიდან არა უგვიანეს **10 დღის** შემდეგ აღძრან შუამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

მომზადებულია
სამართლებრივი განათლების ასოციაციის
მიერ

თბილისი
ინგოროჟვას ქუჩა 14
ტელ.: 995 32 93 58 41, 92 29 14
ფაქსი: 995 32 92 05 96
ელ-ფოსტა: alpeonline@gol.ge



სამართლებრივი
მომზადებულია